რელიგია და თანამედროვე გენდერულ/სექსუალური იდენტობები: ქალთა როლი, ლგბტ+ და რელიგიური ინსტიტუტები
(შედარებითი ანალიზი მართლმადიდებლობაში, კათოლიციზმსა და ისლამში)

სალომე ლაღაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail:salome.laghadze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.23

თანამედროვე საზოგადოებაში გენდერული და სექსუალური იდენტობების დისკუსია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევას რელიგიური ტრადიციებისათვის. მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი და ისლამი, სამივე ეფუძნება „შექმნათა“ საკითხავს, რომელიც ადამიანის არსებობას განიხილავს, როგორც ღვთაებრივი წესრიგის გამოვლინებას: „და შექმნა ღმერთმა ადამიანი ხატად და მსგავსად თვისა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ [დაბ.1: 27; შდრ.ყურ. 4:1; 49:13; 53:45].

შედარებითი ანალიზი ეფუძნება ოფიციალურ დოკუმენტებს, სინოდის განცხადებებს და თანამედროვე თეოლოგიურ კვლევებს.

XXI ს-ში ე.წ. გენდერული თეორია, რომელიც განასხვავებს ბიოლოგიურ სქესს (ის, რაც დაბადებისას განისაღვრება, ქრომოსომები, ანატომია) და გენდერულ იდენტობას (შინაგანი თვითშეგრძნება), აღიარებს ტრანსგენდერებს, არაბინარულ (ეს არის ტერმინი ადამიანებისათვის, ვინც თავს არც მამაკაცად და არც ქალად გრძნობს, შეიძლება იყოს ორივეს ნაზავი ან არც ერთი (აგენდერი) და ცვალებად (გენდერფლუიდი) იდენტობებს და ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს.

მართლმადიდებლობაში სქესის აღქმა ღრმად ტრადიციული და სიმბოლურია. მამაკაცი გაიგივებულია ქრისტესთან. აქ გამორიცხულია ქალთა სრული იერარქიული ლიდერობა (მღვდლობა, ეპისკოპოსობა), რადგან იერარქია სიმბოლურად ასახავს ქრისტეს და ეკლესიის ურთიერთობას (Kupari, Helena, Elina). თუმცა ბოლო წლებში გაჩნდა მოსაზრება ქალთა დიაკონისებად აღდგენის შეხაბებ, მაგრამ ეს არ ცვლის დოქტრინას - სრული ორდინაცია კვლავ მამაკაცურია [Frost, Carrie Frederick].

რომის კათოლიციზმში გენდერის საკითხი უფრო დინამიურია, მაგრამ ტრადიციული რჩება. აქაც მღვდლად მხოლოდ მამაკაცები რჩებიან. კარდინალ პეტროკის კომისიის 2025 წლის დასკვნა (გამოქვეყნებული დეკემბერში) უარყოფს ქალთა დაშვებას დიაკონატში, როგორც წმინდა ორდენის ნაწილს, ისტორიული და თეოლოგიური კვლევები ამას გამორიცხავს. თუმცა, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს დოქტრინალურ დონეზე და შესაძლებელია შემდგომი კვლევა [Vatican news].

დოქტრინა აქ ქორწინების შესახებ უცვლელია: ქორწინება მხოლოდ მამაკაცსა და ქალს შორის, გენდერი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული დაბადების მომენტიდან (Dignitas infinita).

თუმცა, პასტორალურ დონეზე ეკლესია ავლენს თანაგრძნობას. მაგალითად, 2025 წლის ნოემბერში ვატიკანში გაიმართა ტრანსგენდერ ქალებთან შეხვედრა „ღარიბთა

ლანჩზე“ (48 ადამიანი მიიწვიეს), რაც იყო გამოხატულება მათთან დიალოგისა, თუმცა პაპმა ლეომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს „არ იწვევს დოქტრინის ცვლილებას მოკლევადიან პერიოდში“ [Grux].

ისლამში გენდერის და ტრანსგენდერობის საკითხი ყველაზე დივერსიფიცი-რებულია ფიქჰის (ისლამური იურიპრუდენცია) გამო. ისლამში არსებობს სხვადასხვა იმამის მიერ შექმნილი 4 ძირითადი ფიქჰის სკოლა, რომელსაც მაზჰაბი ეწოდება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა მიდგომებით. მთავრია ის, რომ ეს ოთხივე სკოლა მათი გადმოსახედიდან სწორია და მუსლიმები ერთმანეთს პატივს სცემენ და არავინ ამბობს, რომ მეორე „არასწორია“.

სუნიტური:

- **ჰანაფი, ყველაზე გავრცელებული მსოფლიოში (თურქეთი, ცენტარლური აზია, ინდოეთი, პაკისტანი ბალკანეთი, საქართველოშიც ბევრი მუსლიმი ამ სკოლის მიმდევარია)**
- **მალიკი (ჩრდილოეთ აფრიკა, მაროკო, ალჟირი, ტუნისი)**
- **შაფიი (ინდონეზია, მალაიზია, ეგვიპტე, იემენი, აღმოსავლეთ აფრიკა)**
- **ჰანბალი (საუდის არაბეთი, კატარი)**

ერთსა და იმავე საკითხზე შეიძლება იყოს განსხვავებული ფატვები (განჩინებები) სხვადასხვა ფიქჰურ სკოლებში. ტრადიციულად მამაკაცი არის მფარველი (ყურანი 4: 34), ქალი უნდა გამოხატავდეს მორჩილებას, მაგრამ თანამედროვე ფემინისტი ქალები იბრძვიან თანასწორობისათვის [Barlas, Asma]. ტრანსგენდორობა კომპლექსურია: ირანში აიათოლა ალი ხამენეის მხარდაჭერით (1980-იანები) დაშვებულია სქესის შეცვლის ოპერაცია. სახელმწიფო სუბსიდირებას უწევს ოპერაციას (თუ ადამიანს აქვს მსგავსი დიაგნოზი) სასამართლო გასცემს ნებართვას ფსიქოლოგიური/სამედიცინო შემოწმების შემდეგ. ოპერაციის შემდეგ იცვლება დოკუმენტები (პასპორტი, სერთიფიკატი და ა.შ) და ადამიანი სრულად არის აღიარებული ახალ გენდერში.

ირანში ეს განიხილება, როგორც „დაავადების განკურნება“, ანუ თუ ადამიანი „შიგნით“ ერთი გენდერია, მაგრამ სხეული მეორეა, ოპერაცია „ასწორებს“ ამ წინააღმდეგობას (Transgender rights in Iran), ჰომოსექსუალურობა კი მკაცრად აკრძალულია.

სხვა ისლამურ ქვეყნებში პოზიცია განსხავებულია: უმრავლესობა სუნიტურ ფიქჰში (მაგ. ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, კატარში აკრძალულია ან მკაცრად შეზღუდული) სქესის შეცვლა ჰარამია (აკრძალული), რადგან ის ეწინააღმდეგება ღმერთის ნებას. „ვერავინ შეცვლის ღმერთის ნებას“ [ყურანი 30: 30].

შედარებით სამ რელიგიას შორის, ისლამი (განსაკუთრებით ირანი) უფრო „პრაგმატულია“ ტრანსგენდერობაში, მაგრამ ეს პათოლოგიური შემთხვევებია და ხშირად ჰომოფობიური „გამოსწორების“ ინსტრუმენტი.

მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი უფრო კონსერვატიულია -ტრანსგენდე-რობა გადახრად ან იდეოლოგიად განიხილება. კატოლიციზმში პასტორალური თანაგრძნობა იზრდება, მაგრამ არა დოქტრინალური ცვლილება.

ამ დილემის წინაშე სამივე რელიგია ინარჩუნებს დოქტრინალურ უწყვეტობას: ჰეტერონორმატიული (ეს არის ქორწინება, რომელსაც საზოგადოება (განსაკუთრებით ტრადიციულ კონტექსტში) თვლის ერთაერდერთ ლეგიტიმურად და ნორმად (ოჯახი=მამაკაცი+ქალი+შვილები) ქორწინება და ორი სქესის პატივისცემა. თუმცა, პასტორალური და იურიდიული პრაქტიკა განსხვავდება: მართლმადიდებლობა რჩება ყველაზე ტრადიციული და ინსტიტუციურად მკაცრი. მართლმადიდებლობაში ჰომოსექსუალური აქტები ცოდვად მიიჩნევა, როგორც ბუნებრივი წესრიგის დარღვევა. ეკლესია არ აკურთხევს ერთსქესიანთა კავშირს და ხაზს უსვამს პასტორალურ მიღებას, მაგრამ არა აქტების მხარდაჭერას [Saint John Church, public orthodoxy].

კატოლიციზმი ავლენს პასტორალურ მოქნილობას, განსაკუთრებით რომის პაპის ლეო XIV-ის დროს (ის არჩეული იქნა 2025 წლის 8 მაისს, პაპ ფრანცისკეს გარდაცვალების

შემდეგ და დღემდე მოღვაწეობს), რაც ინდივიდუალურ კურთხევას იძლევა ე. წ. „არალეგალურული“ ურთიერთობების მქონე პირებისათვის. კატოლიციზმში კატეხიზმო აცხადებს ჰომოსექსუალურ აქტებს „შინაგანად უხამსად“, თუმცა ორიენტაცია არაა ცოდვად მიჩნეული.

ისლამი კი გამოირჩევა იურიდიული პლურალიზმით, რაც ნიშნავს, რომ ისლამურ სამართალს (შარიათს) ისტორიულად და თეორიულად აქვს შედარებით მეტი პლურალიზმის (მრავალფეროვნების) უნარი, ვიდრე ბევრ სხვა სამართლებრვ ტრადიციას. ასევე, ისლამში ტრადიციული ინტერპრეტაციები ჰომოსექსუალურ აქტებს ჰარამად მიიჩნევს. თუმცა, დასავლურ პროგრესულ მეჩეთებში (მაგ. Unity Mosque ტორონტოში, Masjid ar-rabia ლგბტ+ მუსლიმები მიიღებიან და ლიდერობენ (NBC News; Mwdill reports).

ფატვა (არაბული სიტყვისგან ფატვაა fatwaa) არის ოფიციალური რელიგიური განჩინება ან იურიდიული აზრი ისლამში, რომელსაც გასცემს კვალიფიციური მეცნიერი-მუფთი ან ფაქიფი, ისლამური სამართლის ექსპერტი. ფატვები შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ერთი ადამიანისათვის) ან საერთო (მთელი თემისთვის), რომელიც ზოგ შემთხვევაში იძლევა ტრანსგენდერული „კორექციის“ უფლებას, როგორც ხომეინის 1987 წ-ის ფატვაში ირანში ან ალ-აზჰარის პოზიციებში, მიუხედავად ჰომოსექსუალური პრაქტიკის მკაცრი აკრძალვისა.

ბოლო ათწლეულებში ლგბტ+იდენტობების აღიარება და უფლებები გლობალურად გახდა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხი ტრადიციული რელიგიური ინსტიტუტები-სათვის. ლგბტ+ საკითხებზე ისლამის მიმდევრების უმრავლესობის პოზიცია მკაცრად უარყოფითია: ჰომოსექსუალური აქტები აკრძალულია და ცოდვად ითვლება, ზოგ შემთხვევაში სასჯელის ღირსად ითვლება. თუმცა დასავლეთში და ზოგ მუსლიმურ ქვეყანაში (მაგ., თურქეთი, ინდონეზია) არსებობს ლგბტ+ მუსლიმთა ჯგუფები, იდენტობა განსხვავდება ქმედებებისაგან და მოითხოვენ შეწყნარებას. ტრანსგენდერული იდენტობა უფრო მისაღებია, ვიდრე ჰომოსექსუალური ყოფა.

მართლმადიდებლობა, კატოლიციზმი და ისლამი, სამივე რელიგია ინარჩუნებს თეოლოგიურ პოზიციას, რომელიც სექსუალურ ურთიერთობებს მხოლოდ ქორწინების (მამაკაცი და ქალი) ფარგლებში აღიარებს, თუმცა თანამედროვე რეალობაში ეს პოზიცია სულ უფრო მეტ კონფლიქტში შედის საზოგადოების მოთხოვნებთან.

მართლმადიდებლობაში ლგბტ+ საკითხები უარყოფითად განიხილება. რუსეთის, სერბეთის, საქართველოს ეკლესიებში ხშირად „გენდერულ იდეოლო-გიას“ უწოდებენ „დასავლურ ანტიქრისტიანულ პროპაგანდას“ [ბესელია. ა].

ზოგიერთი თეოლოგი მაინც საუბრობს თანაგრძნობაზე და პატივისცემაზე, მაგრამ საეკლესიო დოქტრინა მკაცრად უცვლელი რჩება.

კათოლიციზმში პაპი ფრანცისკეს პერიოდში გამოჩნდა უფრო რბილი ტონი („ვინ ვარ მე, რომ ვსჯიდე?“) [Pope Francis]. თუმცა, 2023-2025 წლები Fiducia Supplicans”-ის დოკუმენტი (ლათ. „ მოწოდებული ნდობა „ ან „შეწყალების თხოვნა“) იძლევა კურთხევის შესაძლებლობას ლგბტ+ წყვილებზე (არა ქორწინებისა, არამედ ინდივიდუალური კურთხევის სახით), რამაც გამოიწვია დაპირისპირება ტრადიციონალისტებსა და პროგრესისტებს შორის.

ისლამში, ეს პოზიცია ყველაზე მკაცრად დომინირებს, რაც მკაფიოდ გამოიხატება ტრადიციულ ფატვებში (ჰომოსექსუალური აქტი ცოდვად ითვლება), თუმცა დასავლეთის ქვეყნებში (აშშ, კანადა, დასავლეთ ევროპა) გაჩნდა გარკვეული თემები, რომლებიც ყურანისა და ჰადისების ალტერნატიულ ინტერპრეტაციას ეფუძნება და ამტკიცებენ, რომ აკრძალვა ეხება მოლოდ გარკვეულ ქცევებს და არა იდენტობას [Asma Barlas].

სამივე რელიგიაში ჩანს ერთი და იგივე პრობლემა, როგორ შეინარჩუნოს ტრადიციული სწავლება და ამავდროულად არ განადგურდეს ახალგაზრდა თაობა, რომელიც თანასწორობას მოითხოვს. ეს კონფლიქტი, სავარაუდოდ, მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება.

თანამედროვე სამყაროში რელიგიური ინსტიტუტები და ქალთა როლი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და მრავალფეროვან საკითხს. მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი და ისლამი განსხვავებულად პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს, როგორიცაა გენდერული თანასწორობის მოთხოვნა, ლიდერ ქალთა როლი, კლერიკალურ იერარქიაში მონაწილეობა და ოჯახში მათი როლის განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე რელიგია ეფუძნება წმინდა წერილსა და ტრადიციას, პრაქტიკაში ხშირად ინარჩუნებენ გარკვეულ იერარქიასა და განსხვავებულ როლებს მამაკაცსა და ქალს შორის. ეს განსხვავებები გამოწვეულია როგორც თეოლოგიური ინტერპრეტაციებით, ასევე ისტორიული, კულტურული და სოციალური ფაქტორებით.

მართლმადიდებლობა ტრადიციულად ყველაზე კონსერვატიულია ამ რელიგიათა შორის. კლერიკალურ საზოგადოებაში ქალის როლის კუთხით, მღვდლობა და ეპისკოპოსობა მკაცრადაა დაცული მხოლოდ მამაკაცთათვის, რადგან მაცხოვრის მიერ მოციქულთა არჩევა მხოლოდ მამაკაცებიდან განიხილება, როგორც ურღვევი ტრადიცია. დიაკონისეს (ქალი დიაკონი) ინსტიტუტი არსებობდა ადრეულ ეკლესიაში, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში გაქრა. ისინი იყვნენ ტაძრის მსახურები, როგორც მენელსაცხებლე დედები, ევალებოდათ სხვადასხვა სახის მოვალეობები ტაძარში. საქართველოში მსგავსი რამ არ დაფიქსირებულა, ის ბერძნებთან გვხვდებოდა, მაგრამ, როგორც ასეთი, ისინი საკურთხევლის მსახურები არ იყვნენ, უფრო სასულიერო პირების დამხმარეები იყვნენ მრევლთან ურთიერთობაში. ბოლო წლებში (განსაკუთებით 2020-იან წლებში) ამ საკითხის ირგვლივ დისკუსია განახლდა. მაგალითად, ალექსანდრიის პატრიარქმა თეოდოროს მეორემ 2021წელს აფრიკაში რამდენიმე ქალი აკურთხა დიკონესად მისიონერული საქმიანობისათვის, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ გახდა საყოველთაო და ბევრი კრიტიკაც გამოიწვია. ქალები აქტიურად მონაწილეობენ საეკლესიო ცხოვრებაში: გუნდის ხელმძღვანელობა, საქველმოქმედო საქმიანობა, მაგრამ საკუთარი იერარქიული ლიდერობა (მღვდლობა) არ შეიძლება ჰქონდეთ. ამერიკის შეერთბულ შტატებში, კათოლიციზმში და ზოგიერთ ქრიატიანულ ტრადიციაში ჩატარებული ბოლო კვლევები აჩვენებს, რომ ქალთა ლიდერობის შეზღუდვამ გამოიწვია ის, რომ ისინი მასიურად ტოვებენ ეკლესიას/რელიგიას უფრო სწრაფად, ვიდრე მამაკაცები. ეს არის პირველი თაობა, როცა ტენდენცია შეიცვალა, ანუ ადრე ქალები უფრო რელიგიურები იყვნენ, ვიდრე მამაკაცები.

2025 წლის მონაცემებით [Barna Group] მამაკაცები უფრო ხშირად დადიან ეკლესიაში (მამაკაცები 43%, ქალები 36%,) განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ. ისინი თვლიან, რომ ეკლესია არათანაბარია [Daniel A. Cox]. მიზეზი კი არის ქალთა ლიდერობის შეზღუდვა. ქალები არ იღებენ პასტორის როლს, გენდერული იერარქია - „მეორე კლასის მოქალაქის“ შეგრძნება [Daniel.A. Cox].

რომის კათოლიციზმში საკითხი უფრო დინამიურია, თუმცა ძირითადი პოზიცია უცველელი რჩება. პაპი ფრანცისკეს დროს (განსაკუთრებით სინოდალური პროცესის- Synod on Synodality-ფარგლებში 2021-2024 წლებში) ბევრი დისკუსია მიმდინარეობდა ქალთა როლის გაფართოებაზე. 2025 წელს ვატიკანის კომისიამ კვლავ უარყო ქალთა დიაკონატის აღდგენა (ხმათა უმრავლესობით), რადგან ითვლება რომ ეს საკურთხევლის საიდუმლო ნაწილია და ქრისტეს იერარქიული გამოსახულება მხოლოდ მამაკაცს შეუძლია. თუმცა, პაპმა ფრანცისკემ გაზარდა ქალთა როლი ეკლესიის ადმინისტარციულ და საკონსტიტუციო პოზიციებში - ქალები მუშაობენ ვატიკანის დეპარტამენტებში, კომისიებში, უნივერსიტეტებში. სინოდალური პროცესი ხაზს უსვამს, რომ ქალებს უნდა ჰქონდეთ მეტი გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ ხელდასხმა (მღვდლობა) კვლავ გამორიცხულია (Vatican news). ეს ქმნის მათთვის გარკვეულ დაძაბულობას: ერთის მხრივ, მეტი ინკლუზია, მეორეს მხრივ - ტრადიციის შენარჩუნება.

ისლამში სიტუაცია უფრო მრავალფეროვანია, რადგან არ არსებობს „კლერიკალური იერარქია“. აქ იმამი (ლოცვის წამკითხავი) ხშირად მამაკაცია, მაგრამ არაა სავალდებულო ლოცვას ყველგან ის კითულობდეს.

ქალები ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. მაგალითად: ხათიჯა (მუჰამედ წინასწარმეტყველის პირველი ცოლი და პირველი ადამიანი, ვინც ისლამი მიიღო) იყო წარმატებული ვაჭარი ქალი, თვითონ მართავდა ქარავნებს და ვაჭრობდა სხვადასხვა საქონლით (სირიაში და სხვაგან). აიშა (მუჰამედის მესამე და უმცროსი ცოლი), ჰადისების გადამცემი და ერთერთი ყველაზე გავლენიანი ქალი ისლამის ისტორიაში, პოლიტიკური ფიგურა. ფატიმა (ან ფატიმ აზ-ზაჰრა, მუჰამედ წინასწარმეტყველის უმცროსი ქალიშვილი) ისლამის ისტორიაში სიწმინდის, თავმდაბლობისა და ოჯახური ტრადიციის სიმბოლოდაა მიჩნეული, რომელსაც როგორც სუნიტები, ისე შიიტები უდიდეს პატივს სცემენ. თანამედროვე ისლამის ფემინისტურ თეოლოგიაში (მაგ. ამინა ვადუდის, ამერიკელი მუსლიმი თეოლოგი, ფემინისტი და აქტივისტი) ცნობილია როგორც „ ქალი იმამი“ და ისლამის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა. ახლა ის ემერეტუს პროფესორია.

ასმა ბარლასისი, პაკისტანელ-ამერიკელი თეოლოგი, რომელიც ითვლებოდა ისლამური ფემინიზმის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან ფიგურად. ის ცნობილია, როგორც ყურანის ანტი-პატრიარქალური ინტერპრეტაციის მთავარი მომხრე და ავტორი.

ბევრ ქვეყანაში (ინდონეზია, თურქეთი, მალაიზი, დასავლეთის მუსლიმურ თემებში) ქალები იმამატს ასრულებენ, ფატვებს გასცემენ, უნივერსიტეტებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ლიდერობენ. თუმცა ტრადიციულ და კონსერვატიულ კონტექსტებში (მაგ. საუდის არაბეთისა და ავღანურ პრაქტიკაში) ქალთა საჯარო როლი შეზღუდული რჩება. 2020-იან წლებში ბევრი კვლევა აჩვენებს, რომ მუსლიმი ქალები აქტიურად იბრძვიან თანასწორობისათვის, რაც ქმნის ე. წ. „ისლამურ ფემინიზმს“ (ჰაინრიჰ ბიოლი).

საბოლოოდ, შედარება რომ გავაკეთოთ, მართლმადიდებლობა ყველაზე მეტად ინარჩუნებს ტრადიციულ იერარქიას და ნაკლებად იძლევა ცვლილებების საშუალებას; კათოლიციზმი აჩვენებს მეტ მოძრაობას ადმინისტრაციულ და საკონსულტაციო დონეზე, მაგრამ ხელდასხმა აქაც დახურულია. ისლამი კი უფრო მოქნილია რეგიონების მიხედვით. დასავლეთსა და ზოგ აზიურ ქვეყანაში ლიდერ ქალთა როლი სწრაფად იზრდება.

მართლამიდიდებლობაში, კათოლიციზმსა და ისლამში, სამივე რელიგიაში, ქალის როლი მნიშვნელოვანია ოჯახში, აღმზრდელობით და საქველმოქმედო საქმიანობაში. თუმცა, თანამედროვე ყოფიერებაში ხშირ შემთხვევაში გამოწვევად რჩება ქალის როლი, იპოვოს ბალანსი ტრადიციასა და თანასწორობას შორის, რაც ხშირად იწვევს შიდა დებატებსა და რეფორმების მოთხოვნას. ეს პროცესი გრძელდება და, სავარაუდოდ, მეტ ცვლილებას მოიტანს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის მოთხოვნის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: რელიგიები, კონფესიები, ქრისტიანობა, ისლამი, იდენტობა

ლიტერატურა:

1. ბესელია. ა. (2016): ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. სოციალურ მეცნიერებთა ცენტრი,თბილისი

2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) (2025): გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებების კვლევა საქართველოში. თბილისი.

3. ილია II (1997): საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესია. „ეპისტოლეები, სიტყვანი, ქადგებანი“. თბილისი, ტ.II. 150-155

4. ილია II. (1985): ქალის როლი ეკლესიასა და საზოგადოებაში. ქადაგება. თბილისი

5. ნებიერიძე. მ (2020): სქესი და მართლმადიდებლობა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი

6. ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის (2005): გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა. ღია საოგადოება-საქართველო, თბილისი.
7. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში. (2022): გენდერი და ქალთა როლის ასპექტები რელიგიურ თავისუფლებაში. TDI, თბილისი. 50-65
8. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2007): ფემინიზმი, გენდერული თანასწორობა და რელიგია, თბილისი.
9. UN Women Georgia (2024): გენდერული თანასწორობის მიმართ ქალთა დამოკიდებულებების კვლევა საქარველოში. თბილისი.
10. America magazine (2025)
11. Barlas. A. (2002): Believing Women in Islam:Unreading Patriarchal Interpretations of Qura'n. Austin, university of Texas Press.
12. Daniel.A.Cox Kelsey Eyre Hammond (2024): Young women are leaving church in unprecedented numbers"
13. Cruxnow.com (2025): "In Crux interview, pop stress welcome of LGBT Catholics, won't change teaching"
14. Crux, (2025): Outreach.faith, advocate.
15. Kupari, Helena, Elina (2019): Orthodox Christianity and gender: Dynamics of tradition culture and lived practice.
16. Synod on Synodality (2024-2025): Final document: For a Synodal Church: communion, participation, mission.
17. Vatican city Vatican Commission on the Diaconate of Women (2025): Report on the Study of the Diaconate for Women
18. Vatican news (2025)
19. Zahra Ayubi (2019): Gendered morality: Classical Islamic ethics of the self, family and society.
20. WIKIPEDIA. (2022):Transgender rights in Iran